ხელშეკრულებასახელმწიფო შესყიდვების შესახებ №119

ქ. ვანი

27.07. 2022 წელი

თვითმმართველი ერთეული ვანის მუნიციპალიტეტი, (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი ვანის მუნიციპალიტეტის მერის ალექსანდრე გოგორიშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,მშენებელი" (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის ჟუჟუნა ქართველიშვილი, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1.შესყიდვის საგანი და ღირებულება

1.1 ხელშეკრულების საგანია: მთისძირის ადმინისტრაციული შენობისთვის რკინის კარების 1მX2.20მ შესყიდვა.

1.2 CPV44200000

1.3 ხელშეკრულების ღირებულება 600 (ექვსასი) ლარი.

2. საქონლის მიწოდება

2.1 საქონლის მიწოდება 2022 წლის 02 აგვისტოს ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1 მიღება-ჩაბარება განხორციელდება საქონლის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმების შემდეგ, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

3.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის შტატგარეშე მოსამსახურე მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში.

3.3 თუ აღმოჩნდება, რომ შესყიდვის საგანი უხარისხო ან ნაკლოვანია, მიმწოდებელი უზრუნველყოფს ნაკლოვანი ან უხარისხო საქონლის შეცვლას.

4. ანგარიშსწორება და ვალუტა

4.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო (ლარებში).

4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება წერილობითი მომართვის, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების, საგადასახადო ანგარიშფაქტურის, წარმოდგენის შემდეგ 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

ჩაითვლება

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 2.1 პუნქტში.

6. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარე ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

6.2 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის ,,მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით

6.3 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ს ოდენობით.

6.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8. დაუძლეველი ძალა

მხარეებ თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის

ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით

„შემსყიდველი“	„ მიმწოდებელი“
ვანის მუნიციპალიტეტი	შპს ,,მშენებელი“
მის: თავისუფლების ქ. N65	ვანის რაიონი სოფელი შუამთა
ს/კ229653256	ს/კ 429054028
სახელმწიფო ხაზინა	ა/ა GE08BG0000000498854012
TRESEGE22	BAGAG
---	---
ალექსანდრე გოგორიშვილი	ჟუჟუნ

Self Governing Unit Vani Municipality

Digitally signed by Self Governing Unit Vani Municipality
Date: 2022.07.27 13:27:39 +04'00'

Zhuzhuna Kartvelishvili 01030026820

Digitally signed by Zhuzhuna Kartvelishvili
Date: 2022.07.27 17:10:46